



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
**GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
 BODY**



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N3

ქ. მარნეული

04.02.2016 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს წევრები: - ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, კოტე ბოჭოიძე, ვანო ბურნაძე, ნიკოლოზ გოგოჭური, ირაკლი ბურნაძე, რამიზ გულმამედოვი, ქამილ ალიევი, ჯომგუნ ზეინალოვი, არსენ ახვერდიანი, მაილ მიქიევი, ისმაილ ბაირამოვი, რუსტამ ფაშაევი, აიდა ხაჩიკიანი, ბესიკ გუჯეჯიანი, აბიდ ოსმანოვი, ვალი ისმაილოვი, რაგიმ ასკეროვი, რიჩარდ გიგანი, მამედ მამედოვი, ლევონ აკოპიანი, გიორგი შუკაკიძე, რაფიკ ჯაფაროვი, ლერი მუმლაძე, ზურაბ ჭონიაშვილი, აგილ ფაშაევი.

არ ესწრებოდა:

- ნაზი აბდულაევი, რაფიკ მუსაევი, გივი ქველაძე, სულეიმან ხალილოვი, მახირ იუსუბოვი, ზურაბ სხირტლაძე, ელხან მუფტიევი.

სხდომას ესწრებოდა:

- მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი მერაბ თოფჩიშვილი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი ვუგარ მამედოვი, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური განყოფილების უფროსი დავით არომიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციის უფროსი ნინო დეკანოიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი რუსუდან გადელია.

პრესისა და ტელევიზიის წარმომადგენლები: „მარნეული TV“-ს ტელევიზიის წარმომადგენლები.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადების (რეგ.N164/05. 25.01.2016წ) განხილვის შესახებ
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადების (რეგ.N163/05. 25.01.2016წ) განხილვის შესახებ

4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 იანვრის N3-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 26 იანვრის N165-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 05 იანვრის N9-03 მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ
7. სოციალური საკითხები
8. მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ
9. მოქალაქე სადრადინ გადმოვის 2013 წლის 23 იანვრის საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ
10. მოქალაქე ჯეიხუნ კაბლაიმუსაევის 2014 წლის 11 ივლისის N223 საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ
11. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 4 თებერვლის N03/553 წერილის განხილვის შესახებ
12. მარნეულის მუნიციპალიტეტის სააკრებულოს წევრის ვანო ბურნაძის მოხსენებითი ბარათის განხილვის შესახებ

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა ვუგარ მამედოვმა საკრებულოს წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის N44 დადგენილებაში შესატანი ცვლილების პროექტი.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N3. 04.02.2016 წ).

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლმა შესაბამისი სამსახურის მონაწილეობით უზრუნველყოს 400 ლარის გადარიცხვა ხოჯორნის ეკლესიის აღსადგენად მუშახელის შრომის ასანაზღაურებლად, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N20. 04.02.2016 წ).

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანის განცხადების(რეგ. N163/05. 25.01.2016წ) გათვალისწინებით ითხოვა თანხმობა. რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლმა შესაბამისი სამსახურის მონაწილეობით უზრუნველყოს 6000 (ექვსი ათასი) ლარის გადარიცხვა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის არსენ ახვერდიანისათვის, რომელსაც 2015 წელს დაეწვა სახლი, დარჩა საცხოვრებელი სახლის გარეშე, არ აქვს არანაირი საშუალება აღადგინოს სახლი და აღნიშნული თანხით შეძლებს ააშენოს ორი ოთახი.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N21. 04.02.2016 წ).

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 იანვრის N03/97 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 4 თებერვლის N3-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა დამტკიცდეს ქალაქ მარნეულში, რუსთაველის ქუჩა N76-ში მდებარე 12 საცხოვრებელი ბინის ნუმერაცია.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N13. 04.02.2016 წ).

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 28 იანვრის N03/473 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 26 იანვრის N165-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ცისანა ბეჟანიშვილის საცხოვრებელ სახლს, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემებით საკადასტრო კოდი N83. 04.11.162 მიენიჭოს მისამართი: წერეთლის ადმინისტრაციული ერთეული, სოფელი საიმერლო, ნ.ბარათაშვილის ქუჩა N14ა.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N14. 04.02.2016 წ).

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2016 წლის 8 იანვრის N03/98 წერილით შემოსული მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის 2016 წლის 5 იანვრის N9-03 მოხსენებითი ბარათით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გათვალისწინებით, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა.ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვა თანხმობა, რათა მოქალაქე ადილ პირიევის (პ/ნ 28001048472) საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში აღრიცხულია მონაცემებით საკადასტრო კოდი N83. 02.23.613.01.501, მიენიჭოს მისამართი: ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N59გ.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N18. 04.02.2016 წ).

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ რაფიკ მუსაევი არ ესწრებოდა საკრებულოს სხდომას, სოციალურ საკითხთა კომისიის წევრმა ბესიკ გუჯეჯიანმა საკრებულოს წევრებს გააცნო იმ მოქალაქეების განცხადებები, რომლებიც საჭიროებენ სხვადასხვა სახის დახმარებებს და ვერ ჯდებიან მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სოციალური სამსახურისათვის დამტკიცებულ სოციალურ პროგრამაში და წარმოადგინა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის დასკვნები, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეებს გაეწევთ სხვადასხვა დახმარებები **მედიკამენტებისათვის** - თეიმურაზ ალიევს - 410 ლარი, დურალი ისქანდაროვის მეუღლეს სევილ ისქანდაროვს - 160 ლარი, ფიზული მამედოვის მამას საიათ მამედოვს - 420 ლარი, ნატიკ მამედოვის დედას სადათ მამედოვას - 220 ლარი, ნარმინა ნასიბოვს - 200 ლარი, ფეხრუზა მამედოვას შვილიშვილს ნიჰად მამედოვს - 315 ლარი, ბესარიონ პაპაშვილს - 450 ლარი, გურიელ გიგანს - 600 ლარი, სადატ მამედოვას - 380 ლარი, ნანა გაბაიძეს - 90 ლარი, ორუჯ ოსმანოვის მეუღლეს ბასტი სულეიმანოვას - 190 ლარი, სევილ ისაევას შვილს სემან ისაევს - 330 ლარი, ზიადინ შარიფოვს - 375 ლარი, ზორის ისმაილოვს - 420 ლარი, აბულფატ გუსეინოვს - 600 ლარი, ზაქარია ვეისალოვის მეუღლეს ტახირა მირზაევას - 450 ლარი, ბაბუკ ბაირამოვს - 245 ლარი, ელდარ მამედოვს - 210 ლარი, ნაზირა ბადალოვას - 300 ლარი, ნასრადინ ალიევს - 400 ლარი, გურამ დოკვაძეს - 230 ლარი, ზაქირ გასანოვის ბებიას ნანაშ გასანოვას - 250 ლარი, ნაზაიათ გამიდოვას - 600 ლარი, ელხან ასკეროვს - 315 ლარი, ქენან მამედოვის შვილს ნიჰად მამედოვს - 600 ლარი, ახმედ ალიევს - 240 ლარი, ლეილა ცხადიაშვილს - 180 ლარი, ფარილ კურბანოვის დედას ლეილი ზეინალოვას - 260 ლარი, ქერიმ მამედოვის მეუღლეს ზიაფატ განჯაევას - 150 ლარი, ნოე გოგოლაძეს - 220 ლარი, ბიჭიკო ქოქოშვილს - 300 ლარი, ზიადინ ხამბატოვის მეუღლეს ბანოვშა ხამბატოვას - 150 ლარი, ბაილარ ასკეროვს - 300 ლარი, გატიბა ასკეროვს - 350 ლარი, სოლმაზ გულიევას დედას ტელი გულიევას - 300 ლარი, სურაია ხალილოვას - 120 ლარი, მარიფ რაგიმოვს - 340 ლარი, მინვარ მამედოვის მეუღლეს მუსტაფა მამედოვს - 600 ლარი, ალმაზ გასანოვის მეუღლეს ანახანუმ გასანოვას - 150 ლარი, ნიზამი თანრვერდიევს 410 ლარი, როზა შარიფოვას - 170 ლარი, ნიჯაბათ შარიფოვას მეუღლეს ბადრი განჯაევს - 140 ლარი, ზახიდა კარახმაზლს - 220 ლარი, სადიხ იბრაგიმოვს - 325 ლარი, ელგუჯა მულაძეს - 510 ლარი, ჯალალ სულეიმანოვს - 400 ლარი, ფუად ოჯაგოვის შვილს საბინა ოჯაგოვას - 330 ლარი, აგშინ მუსაევს - 120 ლარი, ტაფდიხ ისმაილოვს - 300 ლარი, ალიეთარ სარმამედოვას - 410 ლარი, გიულანდამ მახმუდოვას - 350 ლარი, ჟორა ბარბაქაძის მეუღლეს ლილი მჯავანაძეს - 300 ლარი, შუქრი ზოიძის მეუღლეს ლამზირა ზოიძეს - 350 ლარი, მორთულა მუმლაძეს - 170 ლარი, ფარმან იმანოვს - 160 ლარი, ელჩინ ალევბეროვს - 600 ლარი. **ოპერაციისათვის** - შახმარდან ეიუბოვს - 200 ლარი, გაბილ მამედოვს - 297 ლარი, ხალადინ ხუდაევს - 175 ლარი, ელვინ აბასოვის შვილს აილინ აბასოვას - 300 ლარი, მინავარ ბარხუდაროვას - 420 ლარი, ლატიფა ნამაზოვას - 490 ლარი, თახირ ალიევის მეუღლეს საქინა სეიდოვას - 350 ლარი, ელჩინ საფაროვს - 360 ლარი, ფამილ ქარიმოვის დედას ფლორა ქარიმოვას - 585 ლარი, საიდა აბუზაროვას შვილის ისა ტალიბოვს - 280 ლარი. **მკურნალობისათვის** - ვლადიმერ ჯიძალოვის შვილს ვლადიმერ ჯიძალოვს - 600 ლარი, ნარიმან კარახმაზლის - 600 ლარი, თამრო ჟორჟოლიანს - 600 ლარი, ლია ნადირაძეს - 340 ლარი, ელნურ მამედოვას დედას სამაია მამედოვას - 100 ლარი, ტაირა ომაროვას - 300 ლარი, არზუ ალიევას შვილს ამირასლან ალიევს - 450 ლარი, ანვარ ისმაილოვს - 250 ლარი, რაფიგა გასანოვას - 300 ლარი.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებები N15, N16 და N17. 04.02.2016წ)

8. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მერვე საკითხთან დაკავშირებით, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა დავით აროშიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის 2016 წლის სოციალური პროგრამა. გამოითქვა რიგი შენიშვნები, რის გამოც საკრებულოს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება გამოთქმული შენიშვნები წერილობით გადაეგზავნოს სამსახურს და მოხდეს მისი ხელახალი განხილვა, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

9. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭონიაშვილის მოხსენებითი ბარათი მოქალაქე სადრადინ გადმოვის 2013 წლის 23 იანვრის საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების შესაბამისად ზემოაღნიშნული კომისია უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება, რის გამოც სასურველია კომისიამ თავად გააუქმოს სადრადინ გადმოვზე კომისიის მიერ გაცემული საკუთრების მოწმობა, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

10. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეათე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ საკრებულოს წევრებს გააცნო ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარის ზურაბ ჭონიაშვილის მოხსენებითი ბარათი მოქალაქე ჯეიხუნ კაბლაიმუსაევის 2014 წლის 11 ივლისის N223 საკუთრების მოწმობის გაუქმების შესახებ. გამოითქვა აზრი, რომ არსებული საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის N525 ბრძანებულების შესაბამისად ზემოაღნიშნული კომისია უფლებამოსილია თავად მიიღოს გადაწყვეტილება, რის გამოც სასურველია კომისიამ თავად გააუქმოს ჯეიხუნ კაბლაიმუსაევიზე კომისიის მიერ გაცემული საკუთრების მოწმობა, რასაც საკრებულოს წევრები დაეთანხმნენ.

11. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთერთმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა ნინო დეკანოიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 4 თებერვლის N03/553 წერილით წარმოდგენილი დადგენილების პროექტი დასახლებათა საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია დადგენილება N4. 04.02.2016წ)

12. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ საკრებულოს წევრებს, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ვანო ბურნაძის მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით, სთხოვა თანხმობა, რათა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლმა შესაბამისი სამსახურის მონაწილეობით უზრუნველყოს 966 ლარისა და 39 თეთრის გადარიცხვა მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქიის მიერ მოხმარებული ელენერგიის დავალიანების დასაფარად, წარმოდგენილი ქვითრის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა კენჭისყრაზე დააყენა აღნიშნული საკითხი, რაც მიღებული იქნა ერთხმად (მიღებულია განკარგულება N19. 04.02.2016წ)

საკრებულოს თავმჯდომარის დროებითი მოვალეობის შემსრულებელმა ვალერი მეტრეველმა მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის მესამე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

ვალერი მეტრეველი

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი: